პროექტი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__**

2024 წლის_ _ ივნისი

ქ. წყალტუბო

**ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის -7 (შვიდი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 ივნისის №48-4824171164 წერილი, რომელშიც საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულებისა და სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 19 ივნისის MOD 1 24 00753628 წერილის საფუძველზე ითხოვს თანხმობას სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილებას, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი, დანართის სახით წარმოდგენილი ნახაზების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 აპრილის N 536 განკარგულების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს/სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი (დანართი ნახაზის სახით განკარგულებას თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY


წერილის ნომერი: **48-4824171164**
თარიღი: **19/06/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 19 ივნისის წერილი რომლითაც ითხოვს სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილების განსათავსებლად 2026 წლის 01 იანვრამდე, იჯარის უფლებით გადაეცეს, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის (საკ.კოდი N29.08.34.014) შენობის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი, 7 (შვიდი) ოთახი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლისა და ,,საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულების შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს/სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრს/წყალტუბოს მუნიციპალურ განყოფილებას განსათავსებლად 2026 წლის 01 იანვრამდე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაეცეს, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი, 7 (შვიდი) ოთახი, დანართის სახით წარმოდგენილი ნახაზის შესაბამიად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი


საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო

აკაკი ბელიაშვილის ქ. 43
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 254 35 35
mod@mod.gov.ge

19 ივნისი 2024

MOD 1 24 00753628

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
**ბატონ გენადი ბალანჩივაძეს**

**ბატონო გენად,**

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულების შესაბამისად, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალური განყოფილების განსათავსებლად, გთხოვთ, 2026 წლის 01 იანვრამდე, იჯარის უფლებით გადმოგვცეთ, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის პირველ სართულზე განთავსებული 81,4 კვ.მ. ფართი 7 (შვიდი) ოთახი.

**პატივისცემით,**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირები / ს.ს.ი.პ. სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო / სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონალური ცენტრი / წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილება**
**განყოფილების უფროსი**
**გიორგი ხანთაძე**

შენობის I სართულის შიდა საკადასტრო ნახაზი
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25
მესაკუთრე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
უზუფრუქტით გასაცემი ფართი: 81.4 კვ.მ.



წყალტუბოს [illegible]

შენობის I სართულის შიდა საკადასტრო ნახაზი
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25
მესაკუთრე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
უზუფრუქტით გასაცემი ფართი: 81.4 კვ.მ



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

# საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 536 2024 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი

## საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ

1. ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და $122^{1}$ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით გადასცენ ქონება 2026 წლის პირველ იანვრამდე.

2. ეთხოვოთ მუნიციპალიტეტებს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ საკითხზე უფლება მისცენ სააგენტოს გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების

მუნიციპალურ განყოფილებებს, განთავსდნენ შესაბამის შენობებში და უზრუნველყონ ქონების მომსახურებისათვის გაწეული დანახარჯების (ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მომსახურების, ბუნებრივი გაზისა და ინტერნეტის) დაფარვა.

3. დაევალოს სააგენტოს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახით ქონების გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მიმართვის შემთხვევაში, არაუმეტეს 6 თვისა, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ან დაუბრუნოს ქონება მუნიციპალიტეტს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე

შენობის I სართულის შიდა საკადასტრო ნახაზი
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25
მესაკუთრე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
უზუფრუქტით გასაცემი ფართი: 81.4 კვ.მ.

საქართველო
"ა რ მ ი"
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

წყალტუბო, რუსთაველის N25, [illegible] 1-67

I სართულის გეგმა




წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის
უფროსი:
მ. ჯანაშია